

სენა

36

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 თებერვალისაგზავათი 2011
№024 (13321) ფასი 60 თეთრი

გორუესმა ფანჯარა დასურა

50 000 000 ლ



ლიპუკუდს ჩუდსისბან

გუმინ ფერნანდო ტორესი ლივერპულის ბაზაზე დაღერემილი შევიდა



არს ისე ტუდი გუნდი გვყავს, ზოგ-ზოგს როგ პგონია

ევრობასკატის ნილისყრა.
მეტოქეთა კოგენტარი



12

ინტერვიუ უსხოურ პრესაში

SPORTS.RU-მ წერილი რევიზილთან საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მახაჩყალის "ანჟის" მეკარე მოახლოებულ სეზონსა და საკუთარ გეგმებზე ლაპარაკობს. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

- როგორ გაატარეთ შვებულება?
- ნორმალურად, საქართველოში დავისვენე. ვარდა ამისა, სამი დღით ბარსელონაში ჩავიდი, სადაც "ბარსელონასა" და "რუბინის" მატჩს დავესწარი, ახალ წელს კი ოჯახში შევბედი.
- როგორ განწყობაზე ხართ ახალი სეზონის წინ?
- შესანიშნავზე. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და მჯერა, მომავალ სეზონში წინაზე გაცილებით ძლიერად ვიასპარეზებთ. ამის იმედს გაძლიერებული შემადგენლობაც მამდევს და ახალი სპონსორების გამოჩენაც.
- "რუბინის" ყოფილი მოთამაშე ხართ და როგორი შეგრძნებაა, როცა ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდიდან წასული პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვით?
- მირჩევნია, მოედანზე უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძოდე, ვიდრე სკამზე მჯდომი - ჩემპიონობისთვის! ვარდა ამისა, სულაც არ მგონია, რომ გავარდნის საფრთხე დავგეგმუქრება, ჩემი აზრით, "ანჟი" პრემიერლიგის მინიმუმ რვა საუკეთესო გუნდში მოხვდება.
- შეგიძლიათ თქვათ, რომ ილია აბაიის წასვლის შემდეგ "ანჟის" გამოკვეთილი პირველი ნომერი ხართ?
- ამის გარანტია ნამდვილად არ მაქვს, რადგან მაკაროვის სახით ძლიერი კონკურენტი მყავს. ვფიქრობ, მეკარეებს შორის კვლავაც სერიოზული კონკურენცია იქნება. ბოლომდე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად მოვიკიდო.
- როცა გუნდში ორი თანაბარი დონის მეკარეა, შესაძლებელია მათ შორის

ნუპრი რევიზვილი: მიჩვენია, მოედანზე პრემიერლიგაში დასარჩენად ვიბრძოდე, ვიდრე სკამზე მჯდომი - ჩემპიონობისთვის!



რის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბება?
- რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მე და აბაივი, მაგალითად, კარგი მეგობრები ვართ. ქალაქშიც ხშირად ვსეირნობდით ერთად და რესტორნებშიც დავდიოდით.
- გასულ სეზონს როგორ შეაფასებთ?
- მას წარმატებულს ვუნდობდი. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც "ანჟის" რუსეთის ელიტაში აღარ ეთამაშა და ადაპტაციას ვარკვეული დრო დასჭირდა. ასეთ მდგომარეობაში პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნება უკვე წარმატებაა.
- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?
- საკუთარი თავის მიმართ მუდამ კრიტიკული ვარ. უკეთეს შემთხვევაში, მაგრამ რაკი რუსეთში პირველი სრულფასოვანი სეზონი ჩავატარე, ჩემს თამაშს შევფასებ, როგორც ნორმალურს.
- "ანჟიში" გადასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრების ძირითადი მეკარე გახდით. იქ მანამდე თუ გინვევდნენ?
- ნაკრებში დებიუტი ვერ კიდევ 2005 წელს მქონდა, როცა ქუთაისის "ტორპედოში" ვთამაშობდი, შემდეგ კი "რუბინში" სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა და ეროვნული გუნდის მწვრთნელებსაც იშვიათად ვახსენებდობდი.
- არცთუ დიდი ხნის წინ "ანჟიში" არაერთი ქართველი თამაშობდა, ახლა კი მხოლოდ თქვენ დარჩით. ეს ფაქტი თქვენს განწყობაზე უარყოფითად ხომ არ აისახება?
- რა თქმა უნდა, ჩემი თანამემამულეების წასვლა არ გამხარებია, მაგრამ ვცდილობ, ამაზე ბევრი არ ვიფიქრო და საკუთარ თამაშზე ვიყო კონცენტრირებული.
- ომარ თეთრაძეს თქვენი "ვოლგაში" წაყვანა ხომ არ უნდოდა?
- ამ თემაზე სერიოზული საუბარი არ ყოფილა, მათ აბაივი არჩივს.

U17 ექსპერიმენტები მატჩური და ბოლნისური 17-წლამდელები არსენალელიც გასინჯავს



უმაღლესი შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელებმა ნაკრებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა ბოლნისის "სიონთან" ჩაატარა და 1:3 დამარცხდა. ორივე გუნდმა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. ბოლნისელებმა მეტოქეს თავიდანვე აჯობეს და რეზივიაშვილისა და მელქაძის გოლებით პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს. მეორე ტაიმის დასაწყისში 17-წლამდელებმა ქორიძემაც გაუტანა, ღირდალაძემ კი ერთი ბურთი გაქვითა და მატჩი "სიონის" გამარჯვებით, 3:1 დასრულდა.
17-წლამდელებმა ნაკრებში: ბერია - ლეჟავა, ბინკინაშვილი, კახიძე (ლაღანიძე), როგავა - სარჯველაძე, გოგიტიძე, ექვთიმიშვილი (ენდელაძე) - ღირდალაძე, სამუშია - კაჭარავა.
სიონი: ბობლიაშვილი - ქუნიტელია, გ. ოქროპირიძე, გ. კვანტალიანი, ადამაშვილი - ლ. ვაშაკიძე, ალფაიძე, ჭუმბურიძე, გ. მელქაძე - გ. რეზივიაშვილი, ქუხილაძე.
შეცვლაზე შევიცვლენ: კ. ჩხეტიანი, ლ. ჩხეტიანი, ქორიძე.
17-წლამდელებმა ნაკრების თავკაცმა კობა ჟორჯიკაშვილმა თავის გამოჩენის საშუალება იმ ფეხბურთელებს მისცა, რომლებიც წინა სპარინგებში ნაკლებად დატვირთა. ამას გარდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებს საგანგებოდ ამ მატჩისთვის დაემატა. ერთ-ერთი მათგანია კიევის "არსენალის" ნახევარმცველი ნოდარ გოგიტიძე. მწვრთნელები ახალწვეულების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩნენ და მათ რეალურ სანაკრებო კანდიდატებად მიიჩნევენ.
დღეს ჟორჯიკაშვილის გუნდი ძალებს ხარაგაულის "ჩხერიმელასთან" მოსინჯავს, "სიონი" კი სომხურ "ულისს" შეხვდება.

ლეგიონერი რუბინული იყო და არა იყო რა პერცობა თქვა, მათე ისევ ღომაზი წერიანო

ორი დღის წინ რუბინულმა "პროსპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ მათე ლვინიანიძე ანთალიაში შეკრებაზე მყოფ ბუქარესტის "დინამოს" შეუერთდა და იქ დამკვიდრებას ცდილობდა. ვერ გეტყვით, ივარჯიშა თუ არა "მიუნხენ 1860"-ის 24 წლის ქართველმა მცველმა რუბინული გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ 30 იანვარს ბელგრადის "პარტიზანის" წინააღმდეგ ჩატარებულ საკონტროლო მატჩში არ უთამაშო.
ამ ამბავმა გვაფიქრებინა, რომ ლვინიანიძის ბუქარესტული ტრანსფერი არ განხორციელდებოდა. გუშინ რუბინულ და გერმანულ წყაროებს გამუდმებით ვაღეუნებდით თვალს და ამ თემაზე მხოლოდ გერმანული tz-online.de-ს ინფორმაციას წავაწყდით. ეს ვებგვერდი იტყობინება, რომ ლვინიანიძე სეზონს მიუნხენში ჩაამთავრებს. იქვე ქართველის ავენტის, კარლ შერცოგის სიტყვებიცაა მოყვანილი, რომელიც ამბობს, რომ მათეს ზამთარში სხვაგან გადასვლა უკვე გამოირიცხებოდა.
ვერჯერობით უცნობია, რატომ ვერ გადავიდა იგი "დინამოში". არადა, ლვინიანიძის გაყიდვა თვით "მიუნხენის" ინტერესებშიც შედის. ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას მათეს რუსეთსა და უკრაინაში გადასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ არც ამ საქმიდან გამოსულა რამე. ლვინიანიძეს კლუბის შეცვლა დიდი ხანია, სურს და, ალბათ, სანადელს ზაფხულში აისრულებს. "ტრანსფერმარკეტის" ცნობით, ამჟამად მისი სატრანსფერო ღირებულება 750 ათას ევროს შეადგენს.
"მიუნხენ 1860"-ში იგი 2006 წელს გადავიდა მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებიდან და ამ ოთხწლიანდინახევრის განმავლობაში, იშვიათ გამოხატულებებსა და ტრავმების გამო გაცდენილ პერიოდს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, "ცისფერი ლომების" ძირითადი ფეხბურთელი იყო.
მიმდინარე სეზონში ლვინიანიძემ მიუნხენელთა შემადგენლობაში რვა ოფიციალური მატჩი ჩაატარა, აქედან ექვსჯერ სასტარტოში იყო გამწესებული.



მათე ლვინიანიძე

ხელმოწერის მსურველთა საჩუქრადლეაქი
"ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მონოდება გარანტირებულია.
დარეკაით: 38 26 73; 36 6 74 ულვა.ჯი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის "დინამოს" ვებტრანი ფეხბურთელები მწუხარებთ იუნყებთან, რომ გარდაიცვალა
იური სიძინავა
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 3 თებერვალს ჩხორონყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში.
მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონებს, ნარგიზა და კესო ჩხიკვაძეებს შპმის გარდაცვალების გამო.



ქართული ფეხბურთი

სამტრედიის



ხალხმა თქვა: ჩვენ! სამტრედიის სამტრედიისთვის თავი და ფული გადადო

სამტრედიის სეზონის დასრულების შემდეგ, რომელიც არა მხოლოდ სიტყვით, საქმიანობით ეხმარებიან...

ეს ამბავი "სამტრედიის" გულშემოტიკვართა კლუბის პრეზიდენტმა იური კიკაჩიშვილმა გვაცნობს: "სამტრედიის გუნდის გაჭირვებას და უმაღლესი ლიგის...

დასაწყისისთვის საკმაოდ დამამბედებელი შედეგებია: ამოქმედდა ყველა სამტრედიელი, ვისაც მცირე შემოსავალი მიიღო...

კიკაჩიშვილის თქმით, სოფელ ვახუშტაშში საკრებულოს დეპუტატებისა და მოსახლეობის მონაწილეობით...

სამტრედიელი ემადლიერებიან კახა კალაძეს, რომელიც დეკემბერში კლუბს 30 ათასი ევროს ღირებულების ფორმებით...

მერაბ მამულაშვილი

ლავრონკა

საჩუქარი შინდგორიძეს თქვას! ლავრა დაჯილდების დღეა ორჟუსი მიიღო



ლაშა შინდგორიძე

ბაშინი დანიის პირველი დივიზიონის "ორჟუსის" პრესამსახურმა ქართველ შემტევ ნახევარმცველ ლაშა შინდგორიძესთან კონტრაქტის გაფორმება დაადასტურა.

ლაშა 18 წლის კვირას, 30 იანვარს გახდა და ერთ-ერთ საჩუქრად "ორჟუსთან" კონტრაქტი მიიღო.

კლუბის სპორტული დირექტორი ბრაიან სტინ ნილსენი ქართველი ფეხბურთელის განვითარების პერსპექტივას ხედავს: "ლაშა ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელიც დავით დევიდარიანს მაგონებს...

ლაშა შინდგორიძე საქართველოში რეგიონული ლიგის "სასკოში", აგრეთვე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.

ლაშა შინდგორიძე საქართველოში რეგიონული ლიგის "სასკოში", აგრეთვე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.

ლაშა შინდგორიძე საქართველოში რეგიონული ლიგის "სასკოში", აგრეთვე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.


ლაშა შინდგორიძე საქართველოში რეგიონული ლიგის "სასკოში", აგრეთვე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.

მერაბ მამულაშვილი

საბრანსფერო მილი-მილი

Table with 4 columns: გუნდები (Teams), წაპილენე (Goals), მოპილენე (Goals), შიპრება/საკონტრ. გატრები (Statistics). Rows include teams like ზუსტაფონი, ოლიმპი, დინამო, ვიტ ჯორჯია, ტორპედო, სიონი, კოლხეთი, სამტრედიის, ლევან ანტაფარიძე, სპარტაკი.

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადანყვებილი ტრანსფერი



ახალი ფეხბურთი

გერმანია. გუნდის XX ტურის გამოხმაურება



არენ რობენისა და თომას მიულერის კინკლაობა

FC HOLLYWOOD - RELOADED

გერმანიის პირველი ლიგის კინკლაობა

FC HOLLYWOOD დაბრუნდა, წერდნენ ჩვენი გერმანელი კოლეგები გუშინ და ცხადია, მიუხედავად...

FLOP: მერტს ნუ დასცინი სხვათა დამართა

„ვერდერმა“ „ბაიერთან“ 64 წუთის მანძილზე კარგად ითამაშა. „მუსიკოსები“ რეკორდმაისტრებს უგებდნენ...

FLOP: შტუტგარტში უიფალოა

შტუტგარტელებმა მე-19 ტურში დორტმუნდიდან ქულა წაიღეს, რამაც შტუტგარტელებს ფანები ოპტიმისტურად განაწყო...

TOP: მაინცი დაბრუნდა?

„კაიზერსლაუტერთან“ დერბის წინ, „მაინცი“ მთავარი მწვრთნელი თომას ტუხელი ამბობდა...

TOP: ბალაის 90 წუთი

მიხაელ ბალაკმა „შაპფორტთან“ მატჩში, რომელიც „ლევერკუზენმა“ 2:0 მოიგო, რა თქმა უნდა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა...

TOP: რუდი რალოვაში

„შამპურგი“ „ნიურნბერგთან“ დამარცხდა, რუდი ვან ნისტელროიმ კი, გოლს ვინ ჩივის, საშინლად ითამაშა...

TOP: უილფოლამ დორტმუნდს ვერაფერი დააკლო

ჯერ შინჯი კავაჯა დაიმტვრა (სხვათა შორის, ოპერაცია უკვე გაუკეთეს), მერე ლუკას ბარიოსმა გააკრიტიკა მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი და ამ...

ყველაფერს წინ „შტუტგარტთან“ უილბლო ფრეც უძღვოდა, მაგრამ შაბათს გამომჩნდა, რომ უილბლობის რამდენიმე შემოტევა „ბორუსიას“ ვერაფერი დააკლო...

TOP: რობენისა და მიულერის შტაბკაზა

„ბაიერმა“ ბრემენში მოიგო, მაგრამ ეს მორეზარის ხოვანი მოვლენაა. უფრო საინტერესო ისაა, რომ მიუხედავად წარმატებისა, მიუნხენელებმა ერთმანეთში კინკლავეს, თანაც უკვე ვერბალურად, არენ რობენისა და თომას მიულერის შეტაკების დეტალებზე გუშინდელ ნომერში ვწვდით...

XX ტურის სიმბოლური ნაპრატი (ქიკარი, 4-2-3-1) რობერტ ცილერი (შაპფორტი) - ლუკა პოტეკი (ბორუსია დ), ისაკ ვორსა (შაპფორტი), ნევენ სუბოტიჩი (ბორუსია დ), შატს შუმელსი (ბორუსია დ) - ტიმი სიმონსი (ნიურნბერგი), ნური შაჰინი (ბორუსია დ) - ჩარლზ ტაკი (შტ. პაული), არტურო ვიდალი (ლევერკუზენი), მარიო გოტცე (ბორუსია დ) - ჯერალდ ასამოა (შტ. პაული)

დორტმუნდის „ბორუსიას“ საყრდენი ნახევარმცველი ნური შაჰინი ტურის სიმბოლური ნაკრებში მუშავდება, რაც საუკეთესო შედეგია. „ლევერკუზენის“ ნახევარმცველი არტურო ვიდალი და „ბორუსიას“ მცველი შატს შუმელსი კი „კიკარის“ სიმბოლურში მესხეთად არიან წარმოდგენილები.

ტურის გმირი ნური შაჰინი (ბორუსია დ)

შაჰინი ამ სეზონში ტურის სიმბოლური ნაკრებში შეიღვივრებოდა და „კიკარის“ შეფასებების მიხედვით ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ სხენებულმა გამოცემამ ტურის საუკეთესოდ პირველად დაასახელა. 22 წლის თურქი ნახევარმცველი ვოლფსბურგში მართლაც თითო საჩვენებელი ფეხბურთელი იყო.

გოტცედ ლანცი

საუკეთესო ფეხბურთელი

Table with 3 columns: Rank, Name, Goals. Lists top players like Nuri Sahin, Robert Ciriacy, etc.

გოლს კლასის კრიტიკა

Table with 5 columns: Rank, Name, Goals, Assists, Points. Lists players like Mario Gomez, Arshavin, etc.

Advertisement for 'ახალი ფეხბურთი' magazine, featuring the title and a graphic of a football player.

წმულ ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა იფიციურად დაიხურა. როგორც სწვევია, ყველაზე დიდი ციებ-ცხელებს სწორედ სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეზე მოდის.

იტალიურმა „კატანიამ“ ორი ფეხბურთელი დაიმტვრა, ესეივლ სკელტო და გონსალო ბერესიო. სკელტო 21 წლის იტალიური წარმოშობის არგენტინელია, რომელსაც შეუძლია მარჯვენა მცველად ან მარჯვენა ნახევარმცველად თამაში.

„ბარი“ სლოვაკეთის ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი კამილ კოპუნეკი აიყვანა სეზონის ბოლომდე. მილანის „ინტერმა“ კოლუმბიელი მცველი ნელსონ რივასი უკრაინულ „დნიპროში“ გაუშვა ივარით.

ზოგიერთ ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა - მაგალითად, თითქმის მოლაპარაკებული ტრანსფერი ჰოლანდიური „გროინგენიდან“ „ნაპოლიში“ ჩაიშალა. საქმე ეხება სლოვენელი ფორვარდის ტიმ მატაიას ტრანსფერს.

„ოუვენტუსის“ ფორვარდი ამაური სეზონს „პარამში“ დაასრულებს. ამ სეზონში ბრაზილიელი 16 მატჩში ერთი გოლიც ვერ გაიტანა და „ბებერმა ქალბატონმა“ ის უბრალოდ მოიცილა. „ინტერმა“ და „ჩეზენამ“ ფეხბურთელები გაცვალეს ივარით - იაპონელი იუტო ნაკატომო მილანში ითამაშებს, ხოლო დაივიდ სანტონი - „ჩეზენაში“.

„ფეიენორდმა“ ივარით ორი ფეხბურთელი აიყვანა - სორენ ლარსენი „ტულუზიდან“ და მარსელ მუეუსი მიონხენგლადბახს „ბორუსიადან“. პორტუგალიის ნაკრების ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა ლიედსონმა ევროპა დატოვა, ის „სპორტინგთან“ სამშობლოში, „კორინთიანსში“ დაბრუნდა. 33 წლის ლიედსონი 2003 წელს გადავიდა „კორინთიანსიდან“ „სპორტინგში“. ახლა კი მან საპორტინგო გზა გაიარა. ლიდსონმა „სპორტინგში“ 300 მატჩში 171 გოლი გაიტანა.

„ფეიენორდმა“ ფეიენორდში ივარით ორი ფეხბურთელი აიყვანა - სორენ ლარსენი „ტულუზიდან“ და მარსელ მუეუსი მიონხენგლადბახს „ბორუსიადან“.

სანტანდერის „რასინგმა“ 21 წლის ჯოვანი დოს სანტოსი აიყვანა ივარით. მექსიკელი გარემარბის სანაცვლოდ მონდონურმა კლუბმა 1,5 მილიონი ევრო მიიღო.

● ბუნდესლიგა. უკანასკნელი ტრანსფერები

● ტრანსფერები

შალკე და ვოლფსბურგი გაბიუდნენ

მაგათმა ქარიშის და ხარისტიანს დაუძახა, მგლებმა კი ჰელმსი და თუნჯაი იყიდეს

ბუნდესლიგის სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღე იყო და ბუნდესლიგაში რამდენიმე ძალიან საინტერესო გარიგება მოხდა. ტრანსფერებს დეტალურად ამ დღეებში გავაანალიზებთ, ახლა კი მშრალად გთავაზობთ ყველა იმ ტრანსფერს, რაც გერმანიაში გუშინ განხორციელდა.

ბრემენის „ვერდერმა“ ახალი ცენტრალური მცველი შეიძინა. რაკი ბრაზილიელი **ნალდოს** გამოჯანმრთელებას საშუალება არ დააძლავა, ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა „მუსიკოსებმა“ მისი თანამემამულე, 24 წლის **სამუელი** გადაიბირეს. სამუელმა „ვერდერთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა და თუ **თომას შაფს** თავს მოაწონებს, ზაფხულში სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. სამუელი ბოლოს „სან პაულოს“ ლირსებას იცავდა.

„ზანკტ პაულიმ“ 22 წლის მცველი **დრობო-ამპევი** (მხოლოდ ერთი თამაში ამ სეზონში) სეზონის ბოლომდე დანიურ „ესბერგში“ გაანათხოვრა.

„კაიზერსლაუტერნმა“ იანვრის სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე პრალის „სლავისა“ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი **ადამ პლუშევი** გადაიბირა. მენეჯერ **შტეფან კუნტცის** აზრით, პლუშევი „ნიტელ ემ-მაკებს“ მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

„ჰოფენჰაიმმა“ თავდამსხმელი **პრინს ტაგო** პელგრადის „პარტიზანში“ გაანათხოვრა. 24 წლის ფორვარდმა „სოფელეების“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და შესაბამისად, მოედანზე გასვლა იშვიათად უწევდა. „პარტიზანმა“ ნიგერიელი თავდამსხმელის უპირატესი შესყიდვის უფლებაც მიიღო.

„შალკეს“ მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** გუშინ და გუშინდელი საფეხბურთო გერმანია კიდევ ერთხელ გააოცა. თვითონ განსაჯეთ: გელზენკირხენელმა ჯერ ვეტერანი ბერძენი თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტიასი** აიყვანეს, გუშინ კი, მაგათმა 32 წლის ირანელი ნახევარმცველი **ალი ქარიშიც** გადაიბირა. შეგახსენებთ, რომ ქარიში „ბაიერნის“ ლირსებას სწორედ იმ დროს იცავდა, როცა რეკორდმაისტერს მაგათი წვრთნიდა. მაშინ ირანელმა მიუნხენურ გრანდში ორი სეზონი გაატარა. ქარიში ბოლოს მშობლიური კლუბის, თეირანის „აზინ სტილის“ ლირსებას იცავდა.


ხარისტიასისა და ქარიშის გარდა, „შალკემ“ განელი ნახევარმცველი **ანტონი ანანიც** იყიდა. 24 წლის შუამარბი გელზენკირხენში „რუსენბორგიდან“ გადავიდა და სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. „შალკეს“ ანანი 2 მილიონი ევრო დაუჯდა. სამაგიეროდ, მაგათმა ვერ შეძლო „აინტრახტის“ მარჯვენა გარემარბის, **პატრიკ ოხსის** ყიდვა, თუმცა 27 წლის ფეხბურთელს ფრანკფურტელებთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და დიდი შანსია, რომ მაგათი ოხსს სწორედ იენისიდან მიუბრუნდეს.

შპოკანის შემდეგ, „ვოლფსბურგმა“ **ედინ ჯეკოში** აღებული მილიონები კიდევ ერთ თავდამსხმელში დააბანდა: „მგლებმა“ „ლევერკუზენიდან“ 26 წლის გერმანელი ფორვარდი **პატრიკ ჰელმე** იყიდეს. ამ უკანასკნელმა „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „ვოლფსბურგმა“ „ლევერკუზენს“ 10 მილიონი ევრო გადაუხადა.

ვოლფსბურგელები ამასაც არ დასჯერდნენ და გუშინ კიდევ სამი ტრანსფერი სრულყვეს: გერმანიის ექსტრემპოინმა 29 წლის ჩეხი **იან პოლაკი** გადაიბირა. ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის მოყვარულებს „ნიურნბერგიდან“ ეხსომებათ. გარდა ამისა, „მგლებმა“ ვენესუელელი ტალანტი, 19 წლის **იოანდრი ოროსკოც** შეიძინეს (კონტრაქტი 2015 წლამდე, ფასი 1.25 მილიონი ევრო). „ვოლფსბურგში“ გააგრძელებს კარიერას თურქეთის ნაკრების 29 წლის შემტევი **თუნჯაი სანლიც**, რომლის სანაცვლოდაც, ინგლისურმა „სტოკ სიტიმ“ „მგლებისგან“ 4.5 მილიონი ევრო მიიღო.

სამაგიეროდ, ქვემოხსენებულ **ჯეფერსონ ფარფანის** ტრანსფერი ჩაეშალა. ეს ინფორმაცია „მგლების“ სპორტულმა დირექტორმა **დიტერ ჰინესმა** გუშინ ოფიციალურად დაადასტურა.

გოტფრიდ **ლანცი**



პატრიკ ჰელმესი კარიერას ვოლფსბურგში გააგრძელებს



ბორუსის გალურჯება და ბოლო ნაშის სხვა ამბები

ფარნანდო ტორესი „ჩელსის“ ფეხბურთელია. ინგლისის ჩემპიონმა ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა: ესპანელ ვარსკვლავში „ლივერპულს“ 50 მილიონი ფუნტი გადაუხადა. კლუბებს შორის მარტივი გარიგება შედგა – ფეხბურთელი ფულში გაიცვალა. სხვა რა ვარიანტი იყო? შეგახსენებთ, რომ ლაპარაკობდნენ, თითქოს, ტორესის სანაცვლოდ „ლურჯები“ 42 მილიონ ფუნტს და **ნიკოლა ანელკას** გადაიხდინდნენ, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა. ეგაა, მერსისაიდელეებმა „ელ ნინიოს“ გაყიდვა მას მერე გადაწყვიტეს, რაც „ნიუკასლიდან“ **ენდი ქეროლის** შექენა გაინადდეს. ინგლისის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელში მათ 35 მილიონი ფუნტის გადახდა მოუხდათ. დასაგეთლონდონელთა კლუბის მესპორტონე **რომან აბრამოვიჩი** იმედოვნებს, რომ ტორესის დახმარებით „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებს.

ტორესის „ლივერპულიდან“ „ჩელსიში“ გადასვლა ბლიც-ტრანსფერი გამოდგა. ესპანელმა „ენვილიდის“ ბოსებს პარასკევს გამოუცხადა, რომ ლონდონში სურს გადასვლა, ორმაბათ საღამოს კი ყველაფერი უკვე მოგვარებული იყო.

ტორესის გარდა „ლურჯებმა“ ლისაბონის ბენფიკასგან დიდი ხნის ნანატრი ცენტრალური მცველი **დავიდ ლუიზი** იყიდეს. გარიგება რომან აბრამოვიჩს 5 მილიონი ფუნტი დაუჯდა. მოგეხსენებათ გასული შემოდგომიდან მოყოლებული „ჩელსის“ დაცვის ცენტრში პრობლემები აქვს. ეს მეტწილად ბრაზილიელი **ალექსის** დაშავებამ განაპირობა, რასაც ერთი ხანობა კაპიტნის, **ჯონ ტერის** ზურგის ტკივილიც დაერთო.

თუმცა ჯობს ტორესის ხმაურთან ტრანსფერს დაეუბრუნდეთ. სულ „ჩელ-

სის“ ესპანელი თავდამსხმელი 95 მილიონი ფუნტი დაუჯდება. 50 მილიონის ამბავი უკვე ვთქვით – ეს ის თანხაა, რომელიც ლონდონიდან ლივერპულში წავიდა, დანარჩენი 45 მილიონი კი ხუთი წლის განმავლობაში ფეხბურთელის ჯიბეში ამოყოფს თავს – ტორესს „სტემფორდ ბრიჯზე“ კვირაში 175 ათას ფუნტს გადაუხდინან. ცნობისთვის: „ლივერპულში“ ტორესის ხელფასი კვირაში 110 ათასი ფუნტი იყო.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ „ლივერპულმა“ „ელ ნინიოს“ სანაცვლოდ ენდი ქეროლი იყიდა, მაგრამ ქეროლს მერსისაიდელთა თავდასხმის ხაზში კიდევ ერთი ახალწვეული, „აიკისიგან“ 22,5 მილიონ ფუნტად ნაყიდი ურუგვაელი **ლუის სუარესი** შეუნყვილებდა.

„ბორმინგემ სიტმი“ კი რუბინის „ყაზანისგან“ ნიგერიელი **ოზაფემი მარტინსი** იქირავა. თუ მარტინსს აფრიკული ტრადიციის თანახმად (სხვა ქვეყნებზე დელიკატურად არაფერს ვიტყვი) ასაკი გადაკეთებული არ აქვს, ის 26 წლის არის და ამ სეზონის ბოლომდე პრემიერლიგაში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი 2006-09 წლებში „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშობდა, შემდეგ კი გერმანია და რუსეთი მოიარა. ნიგერიელს ინგლისში დაბრუნებისკენ შეიღის შექენამ უბიძგა – მისთვის ოჯახთან ახლოს ყოფნა ორმაგად მნიშვნელოვანი გახდა. „ბორმინგემი“ მარტინს კვირაში 40 ათას ფუნტს გადაუხდის, სეზონის ბოლოს კი გრძელვადიან ტრანსფერზე დაელაპარაკება.

„სანდერლენდის“ ნახევარმცველი **ენდი რიდი** „ბლექჰულის“ გადავიდა. რიდი „სანდერლენდში“ 2008 წელს 4 მილიონ ფუნტად „ჩარლტონ ატლეტიკიდან“ გადაბარგდა და მას მერე გუნდის შემადგენლობაში 70 შეხვედრაში 6 გო-

ლილია ბაპუნაშვილი

ფორმულა 1

კრედიტორები

ოთხი ახალი



სებასტიან ვეტელის ენა გამოუყო

ფაბიო პრეზიდენტი

რომელიც ჩანს, დასრულდა სპექტაკლი მსოფლიოს ჩემპიონის - სებასტიან ვეტელის მომავალი კარიერის შესახებ. უკვე ვნერდით, რომ გერმანულმა პრესამ „რედ ბულთან“ მიმდინარე კონტრაქტის მნიშვნელოვანი დეტალები შეიტყო. კერძოდ, თუ ფეტელი 2011 წლის ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში საპრიზო სამუშაოში მოხვდა, მისი ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება.

სანამ პრიზი მოიპოვებ

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ლეგენდარული ბრაზილიელის აირტონ სენას შესახებ შექმნილი დოკუმენტური ფილმის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში გაამბეთ. სურათმა ამერიკული კინოკრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა, ახლა კი ფილმმა ცნობილი კინოფესტივალის - „სანდენისის“ პრიზი დაიმსახურა. „სენამ“ რომლის პრემიერა გასული წლის ბოლოს იაპონიაში და ბრაზილიაში შედგა, მასურებელთა სიმპათიის პრიზი მოიპოვა. ვიდეო სოლტ-ლეიკ-სიტში



აირტონ სენა

ბუშინ ფორმულა 1-ის სამყარო 2011 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ოთხი ახალი მანქანა იხილა. ახლოვდება პირველი ოფიციალური სატესტო სერი და ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ბოლიდების პრეზენტაციებს აწყობენ.

„ლოტუს რენომ“ ახალი მანქანა ვალენსიაში წარმოადგინა. გუნდის ძირითადმა პილოტებმა - რობერტ კუბიცამ და ვიტალი პეტროვმა ბოლიდს შალითა გადააძერგეს და გამოჩნდა R31-ის ისტორიული ფერები - შავი და ოქროსფერი.

მეორე გუნდი, რომელმაც გუშინ პრეზენტაცია მოახდინა, „ზაუბერი“ გახლდათ. შვეიცარიული საჯინიბოს ახალი ბოლიდი ძირითადად პილოტებმა - კამუი კობაიშიმ და სერხიო პერესმა წარადგინეს.


მანქანის ინდექსია - C30, მისი კონსტრუქტორი ჯეიმს კი გახლავთ, ხოლო გუნდის მიზნები მისმა ხელმძღვანელმა პეტერ ზაუბერმა გაახმოვანა: „წელს ჩვენი ამოცანა ქულების სტაბილურად მოპოვება და კონსტრუქტორთა თასზე, რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება იქნება. გასული სეზონის მეორე ნახევარში შევძელით შექმნილი სირთულეების დაძლევა და რესტრუქტურული ზაციის ჩატარება. ტექნიკურ დირექტორად ჯეიმს კის მონვევამ უკვე 2010 წელს მოიტანა შედეგი, ახალი მანქანა კი მთლიანად მისი შექმნილია. გარდა ამისა, ჩვენ გუნდს ფინანსური გარანტიებიც შევძინეთ, ეს კი რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია“.

გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ „მერსედესის“ პრეზენტაციამდე ორი დღით ადრე გერმანული საჯინიბოს ახალი მანქანის ფოტო გამოქვეყნა. W02-ის ოფიციალური წარადგენა დღეს ვალენსიაში გაიმართება.


მეორე გუნდი, რომელმაც გუშინ პრეზენტაცია მოახდინა, „ზაუბერი“ გახლდათ. შვეიცარიული საჯინიბოს ახალი ბოლიდი ძირითადად პილოტებმა - კამუი კობაიშიმ და სერხიო პერესმა წარადგინეს.

ქანამ მოგვცა ამის საშუალება. KERS-ის სისტემა მსუბუქი და კომპაქტური გამოვიდა. საერთო ჯამში, ახალი მანქანა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია.


სავე ოფიციალურ პრეზენტაციამდე გამოქვეყნდა „ლოტუსის“ (არაგერიოთ „ლოტუს-რენომი“) ახალი მანქანის - T182-ის ფოტო. გუნდმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა ახალი ბოლიდის სურათი. მანქანა აგრესიულად იზიარდება და მკვეთრი ფერების შეხამებით გამოირჩევა.



ლოტუს რენომი



ზაუბერი



ლოტუსი

აზნაური

კალათბურთი

გარბახოსა უნიკალური გრუნდები მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფორვარდი ხორხე გარბახოსა მზად არის თავის ყოფილ კლუბ „უნიკაბაში“ გადასასვლელად. როგორც იცით, „სამეფო კლუბის“ მთავარი მწვრთნელი ეტორე მესინა ცენტრ მირზა ბეგიჩის გაფორმების შემდეგ აღარ აპირებს 33 წლის კალათბურთელის გამოყენებას. ამიტომაც მადრიდელმა ვეტერანი ტრანსფერზე დააყენეს.

როგორც

46 წლის პროფესიონალი

მსოფლიოს ყოფილი 22-ე ნომერი, 46 წლის (!) გრეტხენ მეჯერსი ამ კვირას ამერიკის ქალაქ სანტა ფეში ITF-ის კატეგორიის ტურნირის კვალიფიკაციაში თამაშობს.